საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 7 25 00007854

31/03/2025

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ასახული არ ყოფილა საქართველოს პარლამენტის 2025 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში შემდეგი გარემოებების გამო:

2025-2028 წლების სამთავრობო პროგრამის შესაბამისად, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტიანი, შედეგებზე ორიენტირებული სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად, გრძელდება რეფორმების განხორციელება საჯარო მმართველობის მიმართულებით. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება წარმოადგენს ამ რეფორმის მომდევნო ეტაპს და თავისი შინაარსით გულისხმობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უშუალო ჩართულობის შედეგად, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების/დაწესებულებების/თანამდებობის პირების, (გარდა აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულებებისა) ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი/მოქმედი საწარმოების და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობას. აღნიშნული ჩართულობა გადაწყვეტილებათა მიღების საწყის ეტაპზევე მოხდება, რაც გააუმჯობესებს მისაღები/მიღებული გადაწყვეტილებების

შესაბამისობას საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან, შეამცირებს გადაწყვეტილებათა მიღებისა და აღსრულებისათვის აუცილებელ დროს და გამოიწვევს ორგანიზაციული (ბიუროკრატიული) საკითხების ოპტიმიზაციას.

ვინაიდან, სიღრმისეული, ეტაპობრივი და მრავალკომპონენტიანი რეფორმის განხორციელება წარმოადგენს დინამიურ პროცესს, მისი განხორციელებისა და უშუალო დანერგვისას, პროცესში ჩართული აქტორების მიერ აზრთა სხვადასხვაობის გაზიარების, უწყებათაშორისი კოორდინაციის, სხვადასხვა სფეროს მიმართულებით განხორციელებული კვლევების, მხარეთა შორის გამართული კონსულტაციების შედეგად და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოვლენის საფუძველზე, დღის წესრიგში დადგა ახალი ამოცანები და გამოწვევები. გამომდინარე აქედან, საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების აუცილებლობა არ იდგა საქართველოს პარლამენტის 2025 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენამდე და აღნიშნულის საჭიროება გამოვლინდა შემდეგ ეტაპზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

ვახტანგ ბაჩიაშვილი